# მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულება | ა(ა)იპ ცაგერის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია |
| საიდენტიფიკაციოკოდი | 242576636 |
| რეგიონი | რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი |
| რაიონი | ქალაქი ცაგერი |
| მისამართი | ქალაქი ცაგერი. დ. აღმაშენებლის ქ № 70 |
| საფოსტოინდექსი | 5101 |
| დაწესებულებისვებ-გვერდი | www. cagimnazia.edu.ge |
| დაწესებულებისელ-ფოსტა | Tsageri.gimnazia@gmail.com |
| ტელეფონი/ფაქსი | 599517747 |
| დაწესებულების ხელმძღვანელი | |
| სახელი და გვარი | სტეფანე კალაიჯიშვილი |
| ტელეფონი | 599517747 |
| ელ-ფოსტა | bishopstephane@gmail.com |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ----------------------------------------

# მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| დაწესებულებაშიმოსწავლეებისადაპედაგოგების რაოდენობა | |
|---|---|
| პედაგოგი | 25 |
| მოსწავლე<br>სსსმ მოსწავლე | 78<br>სსსმ მოსწავლე არ სწავლობს |
| ინფორმაციადაწესებულებისავტორიზაციისშესახებ | |
| გადაწყვეტილებისნომერი და თარიღი | 04.09.2015 გადაწყვეტილება № 39 |
| მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | 91 |

დაწესებულება ახორციელებს

- დაწყებით ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას ■
- საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას ■
- საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას ■
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას □

**ინფორმაცია მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შესახებ**

| | |
|---|---|
| მონიტორინგის განხორციელების საფუძველი | სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება N 261. 11.04. 2018 |
| მონიტორინგის ჯგუფის წევრები | მაკა ტუკვაძე (ჯგუფის თავჯდომარე)<br>ნოდარ ანგურიძე(წევრი) |
| ვიზიტისგანხორციელების პერიოდი | 18.04.2018 წ. –20.04.2018 წ. |
| დასკვნის მომზადების თარიღი | 15. 05.2018 წ. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი -----------------------------------

ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი

## I. საგანმანათლებლო პროგრამები

**1.1** სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას

| | |
|---|---|
| აღწერა | დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ „ცაგერის წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის" სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც განხილულია სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2017 წლის 5 სექტემბრის №7 სხდომაზე და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ. სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებია:<br>• გიმნაზიის მისია<br>• სასწავლო წლის კალენდარი და დღის რეჟიმი<br>• ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა<br>• ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა<br>• გიმნაზიის სასკოლო-საათობრივი ბადე<br>• საგნობრივი კათედრები<br>• სასწავლო მასალის ჩამონათვალი საფეხურებისა და საგნებისშესაბამისად, მათ შორის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხ აკლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ----------------------------------------

| | |
|---|---|
| | • ესგ-ზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.<br>• მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები<br>• მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა<br>• დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა<br>• ჩასატარებელი ღონისძიებები, საუბრები.<br>სასკოლო სასწავლო გეგმის საათობრივი ბადე ითვალისწინებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ ყველა აუცილებელ დატვირთვას, ამასთან სავალდებულო საგნის სტატუსით II-VIII კლასებში დამატებული აქვს „საღვთო სჯული"; ძველი ქართული ანბანი და მედავითნეობა– VII-XI კლასებში, ქრისტიანული ზნეობის საფუძვლები-V-XII კლასებში; საქართველოს ეკლესიის ისტორია - VII კლასში და ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიები VII, VIII დაXI კლასებში - ყველა მათგანი კვირაში 1 საათიანი დატვირთვით.. თითოეული დამატებითი საგნისათვის სკოლამ წარმოადგინა სასწავლო გეგმა, შეფასების პირციპები და სქემები, შეფასება ხდება ნიშნებით 10 ქულიანი სისტემით. სავალდებულო არჩევითი საგნების სტატუსით X-XI კლასებში ისწავლება ერთმოდულიანი საგანი - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების თეორიულ-პრაქტიკული კურსი, ხოლო XII კლასში ორმოდულიანი საგანი ხაზვის პირველი მოდული.<br>დამატებითი საგანმანათლებლო არასავალდებულო (ფაკულტატური) მომსახურების სტატუსით სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი წრეები:<br>• ბერძნული ენის შესწავლა (ფაკულტატური საგანი)<br>• ქართული ენისა და ლიტერატურის წრე |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ------------------------------------

| | |
|---|---|
| | • საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა წრე<br>• მათემატიკის წრე<br>• სიმღერის წრე<br>• თანამედროვე ტექნოლოგიების წრე<br>სკოლას განსაზღვრული ჰქონდა წრეების მუშაობის განრიგი და პროგრამა.<br><br>გარდა ამ წრეებისა, სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე სკოლაში ფუნქციონირებს გახანგრძლივებული ჯგუფი, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს სწავლაში სიძნელეების არსებობისას. გარდა ამისა აქ ჩართულია ის მოსწავლეები, რომლებიც გაკვეთილისთვის მოუმზადებელი მოვლენ სახლიდან. საგნის მასწავლებელი მოვალეა დატოვოს ასეთი მოსწავლე გახანგრძლივებულ ჯგუფში ჩამორჩენის ასანაზღაურებლად, მშობელთან შეთანხმების საფუძველზე. ამასთან აღსანიშნავია, რომ სკოლაში ფუნქციონირებს ბუფეტი, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს ისარგებლონ კვებით. მოსწავლეებს ეძლევათ სათანადო დასვენების საშუალებაც.<br><br>სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია, რომ წლის განმავლობაში ჩატარდება შემდეგი ღონისძიებები და საუბრები:<br><br>• ახალი სასწავლო წლის მისალოცი ღონისძიება<br>• ღონისძიება: ,,ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა"<br>• სპორტული ღონისძიება: ,,მხიარული სტარტები"<br>• საშობაო ღონისძიება<br>• ინტელექტუალური კონკურსი ,,ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას"<br>• ინტელექტუალური კონკურსი ,,ჩვენ ვსწავლობთ ისტორიას" |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ------------------------------------

| | |
|---|---|
| | • მათემატიკური საღამო<br>• ლიტერატურული დილა<br>• ექსკურსია- ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, წმ. მაქსიმეს ტაძარი<br>• ექსკურსია- სიწმინდეები: გელათი, მოწამეთა, ბაგრატის ტაძარი<br>• კონფერენცია თემაზე: ,,რწმენა ჩვენს ცხოვრებაში"<br>• ნახატების გამოფენა: ,,ჩვენი ფიქრები"<br>• მაქსიმობის დღესასწაული<br>• ბოლო ზარი ,,ჰეი, ბავშვობის დღეებო, დაბრუნდებოდეთ ნეტავი"<br>• მომლოცველობითი ექსკურსია სამცხე-ჯავახეთში<br>სკოლის შესაბამისი კათედრის მიერ არჩეული სპორტის სახეობებია ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი და ფრენბურთი.<br><br>სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია დამრიგებლის საქმიანობის მიზნები და ამოცანები, ფუნქცია-მოვალეობები, დამრიგებლის სააღმზრდელო მუშაობის პრინციპები და საქმიანობა. დამრიგებლებს პორთფოლიოებში თავმოყრილი აქვთ კლასთან და მშობლებთან ჩატარებული შეხვედრების ოქმები, გეგმები/თემები სადამრიგებლო საათისთვის, დამრიგებლის ანგარიშები.<br><br>სასკოლო სასწავლო გეგმა გამოირჩევა შემდეგი თავისებურებებით -ეროვნული სასწავლო გეგმის 49-ე მუხლით განსაზღვრული სავალდებულო საგანი „ქართული ენა და ლიტერატურა" გაყოფილია ორ სავალდებულო საგნად „ქართული ენა" და „ქართული ლიტერატურა". აღნიშნული საგნების შეფასებაც ხდება ცალ-ცალკე ნიშნით და წლიური ნიშანიც ორია (იხ. დანართი 1). ასევე ორი ნიშანი შედის მოსწავლის პირად საქმეშიც (იხ. დანართი 2)- სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნული ქმედება ახსნა ქართული ენის გაღრმავებული სწავლების სურვილით, |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ------------------------------

| | |
|---|---|
| | თუმცა ვერ ახსნა ის, რომ იგივე (გაღრმავებული) სწავლება, რომ განეხორციელებინათ, ერთი საგნის სწავლების პირობებში, რა შეუშლიდა ამას ხელს. ასევე გაურკვეველია მოსწავლის მობილობის დროს, მიმღებმა სკოლამ რომელი საგნის ნიშანი უნდა ჩათვალოს „ქართული ენისა და ლიტერატურის“ ნიშნად, „ქართული ენის“ თუ „ქართული ლიტერატურის“, მით უმეტეს, როცა სხვადასხვა ნიშანი აქვს მოსწავლეს.<br>გარდა ამისა ბერძნული ენა ფაკულტატური საგანია, რომელსაც ყველა მოსწავლე არ სწავლობს (არ ირჩევს), საგანში კი შეფასება ხდება ნიშნებით, 10 ქულიანი სისტემით. აღნიშნული ნიშნები შეიტანება როგორც საკლასო ჟურნალებში ასევე მოსწავლის პირად საქმეებში (იხ. დანართი 1 და 2). |
| დადასტურება/დანართი | საკლასო ჟურნალებით (დანართი 1, ოცდაჩვიდმეტ ფურცლად)<br>პირადი საქმეებით (დანართი 2, ოცდაცხრამეტ ფურცლად)<br>სასკოლო სასწავლო გეგმით<br>პედაგოგიური საბჭოს ოქმით<br>ინტერვიუებით. |
| შეფასება | **არ არის დაკმაყოფილებული** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „ა“ პუნქტი |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ....................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ....................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ------------------------------------

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში ფუნქციონირებს ექვსი კათედრა, კერძოდ:<br>• ქართული ენის და ლიტერატურის კათედრა<br>• მათემატიკის კათედრა<br>• საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა<br>• უცხოური ენების კათედრა<br>• საბუნებისმეტყველო საგნების კათედრა<br>• დაწყებითი კლასების კათედრა.<br>სკოლამ წარმოადგინა პორტფოლიოები, რომლებშიც თავმოყრილია თემატური გეგმები, შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალების ნიმუშები. სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია შემაჯამებელი სამუშაოს აღდგენის წესები, რომლის მიხედვითაც შემაჯამებლის გაცდენის შემთხვევაში მოსწავლეს აღდგენა უნდა ჩაუტარდეს გამოცხადებიდან 2 კვირის ვადაში, შეთავაზებული უნდა იყოს განსხვავებული ვარიანტი და ამასთან აღდგენას საგნის მასწავლებლის გარდა უნდა დაესწროს იმავე კათედრის სხვა წარმომადგენელი. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შემოწმდა სხვადასხვა კათედრის, კლასის და საგნის მიხედვით შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები, რომლებშიც მითითებულია თუ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული რა ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მიღწევის შემოწმებას ემსახურებოდა ეს თუ ის დავალებაა. შემაჯამებლების შემდეგ მასწავლებლები აანალიზებენ მხოლოდ სტატისტიკური კუთხით - გამოყავთ კლასის საშუალო ნიშანი (იხ. დანართი 3), |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ----------------------------------

| | |
|---|---|
| | თუმცა არ არის გაანალიზებული მიღებული შედეგები და შესაბამისად არ არის დასახული სამოქმედო გზები. არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შემაჯამებლის ანალიზები აწარმოონ თითოეულ მოსწავლის შედეგების გაანალიზების კუთხით, მით უმეტეს, რომ კლასები მცირერიცხოვანია (4-10 მოსწავლე).<br><br>დოკუმენტაციის შესწავლის, მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეები მონაწილეობენ კლასგარეშე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებსა და სხვადასხვა საგანმანათლებლო ორგანიზაციის კონკურსებში. |
| დადასტურება/დანართი | შემაჯამებელი დავალებების ნიმუშებით<br>საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმებით<br>ინტერვიუ მასწავლებლებთანმ მოსწავლეებთან და მშობლებთან<br>პედაგოგთა პორტფოლიოებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტი |

**1.3** სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

| | |
|---|---|
| აღწერა | სასკოლო სასწავლო გეგმაში შემუშავებულია ინკლუზიური განათლების პრინციპები, რომლის ფარგლებში სსსმ მოსწავლის სკოლაში არსებობის შემთხვევაში, სკოლა გეგმავს |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ----------------------------------

| | |
|---|---|
| | ინდივიდუალური/მოდიფიცირებული სასწავლო გეგმის შემუშავებას.<br><br>მასწავლებლებთან ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ მასწავლებლები იყენებენ სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს საგაკვეთილო პროცესში. ითვალისწინებენ მოსწავლეთა თავისებურებებს გაკვეთილის დაგეგმვის და წარმართვის პროცესში მშობლებთან გასაუბრებისას ზოგიერთმა მათგანმა აღნიშნა, რომ სკოლა მის შვილს აძლევს საკუთარი თავის რეალიზების საშუალებას, როგორც საგანმანათლებლო ასევე შემოქმედებითი მიმართულებით. სკოლაში შექმნილია უსაფრთხო და კეთილგანწყობილი გარემო, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის მათთვის სკოლას.<br>მოსწავლეებისთვის, რომლებიც საჭიროებენ დამატებით მეცადინეობას, სკოლაში ფუნქციონირებს გახანგრძლივებული ჯგუფები. გარდა ამისა სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა წრეები, რომლებსაც მოსწავლეები საკუთარი ინტერესების მიხედვით ესწრებიან და საშუალება ეძლევათ მათი ინტერესების შესაბამისად განვითარდნენ. |
| დადასტურება/დანართი | სასკოლო სასწავლო გეგმით<br>ინტერვიუებით |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „გ“ პუნქტი |

**1.4** სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ------------------------------------

| | |
|---|---|
| აღწერა | სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილია სკოლის შეფასების სისტემა. შეფასების სისტემის გაცნობა ხდება სასწავლო წლის დასაწყისში. ინტერვიუირებისას მოსწავლეებმა დაადასტურეს, რომ იცნობენ თუ როდის, როგორ ფასდებიან. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები ფასდებიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებით. დაწყებით საფეხურის 1-4 კლასებში განმავითარებელი შეფასებით.<br>კათედრების მიხედვით შემუშავებულია შეფასების ზოგადი სქემები, რომლებშიც აღწერილია აკადემიური მიღწევის დონეები სხვადასხვა აქტივობების მიხედვით (პრეზენტაცია, დისკუსია, საშინაო დავალება, საკლასო მუშაობა და სხვა). ასევე წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების ზოგადი სქემები, რომლებშიც გამოყოფილია ცოდნის ათვისების, ან უნარის განვითარების 4 დონე: ფლობს სრულად, ფლობს უმეტესად, ფლობს ნაწილობრივ და ვერ ფლობს. გარდა ამისა გამოიყენება სიტყვიერი და წერილობითი კომენტარები, სწავლაში წარმატების მიღწევაში დახმარებისთვის, სირთულეების გზების ჩვენებითა და რჩევებით.<br>წარმოდგენილი შეფასების სქემების შესაფასებელი კრიტერიუმები შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გიმნაზიას VII-XI კლასებში კლასიდან კლასში გადასაყვანი ბარიერი გაზრდილი აქვს და 7,0-ის ტოლია. ამ მაღალი ბარიერის გამო სკოლაში დაწესებულია ე.წ. „ბარიერის დაძლევის გამოცდები", რომელიც ენიშნება ყველა იმ მოსწავლეს, რომლის წლიური ნიშანი ორი სემესტრის მიხედვით, 7,0-ზე ნაკლებია. ასეთ მოსწავლეს სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ ეძლევა შანსი ჩააბაროს გამოცდა. თუ მოსწავლე ვერ მიიღებს 6-ზე მეტ შეფასებას მას მოუწევს საშემოდგომოდ ბარიერის დაძლების გამოცდის ჩაბარება. ამ შემთხვევაში გადამლახავ ქულად განისაზღვრება 6,0. თუ ვერ დაძლია ამჯერადაც მოსწავლე (მშობელი) ირჩევს ერთ-ერთს ორი ვარიანტიდან, ან დარჩება გიმნაზიაში იგივე კლასში, ან გადავა სხვა სკოლაში და შესაბამისად მომდევნო კლასშიც (იხ. დანართი 4). |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ----------------------------------------

| | |
|---|---|
| | რადგან მოსწავლეებს ხშირად უწევთ „ბარიერის დაძლევის გამოცდების“ ჩაბარება (ხშირად ორზე მეტ საგანში) და გამოცდაზე მიღებული შედეგები ჯამდება სემესტრულ ნიშნებთან და ასე გამოითვლება საბოოლოო ნიშანი (იხ. დანართი 1), ეს გამოცდები თავისი შინაარსით ემსგავსება წლიურ გამოცდას, რომელიც ესგ-ს მიხედვით არ უნდა იყოს ორზე მეტი, ამასთან, საგანი, რომელსაც მოსწავლე ჩააბარებს რომელიმე წელს, მან ორი წლის განმავლობაში აღარ უნდა ჩააბაროს გამოცდა იგივე საგანში.<br>სტანდარტის მიღწევის ერთ-ერთი ფორმა შემაჯამებელი დავალებებია. კათედრების ჟურნალებში განსაზღვრულიაა შემაჯამებელი დავალებების სავალდებულოო მინიმალური რაოდენობადა ის თანხვედრაშია ეროვნული სასწავლოო გეგმით განსაზღვრულ შემაჯამებელი დავალებების სავალდებულოო მინიმალურ რაოდენობასთან. |
| დადასტურება/დანართი | სასკოლოო სასწავლოო გეგმით (დანართი 4, ოცდათორმეტ ფურცლად)<br>შეფასების კრიტერიუმები საგნების მიხედვით<br>ინტერვიუებით<br>საკლასოო ჟურნალებით (დანართი 1) |
| შეფასება | **არ არის დაკმაყოფილებული** საგანმანათლებლოო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „დ“ პუნქტი |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ------------------------------------

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით

| | |
|---|---|
| აღწერა | სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია დამრიგებლის მოვალეობები, რომლის მიხედვითაც დამრიგებელს ევალება მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს გააცნოს მათი უფლებები და მოვალეობები, სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვა. რეგულარულად მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია. დამრიგებელი ვალდებულია სასწავლო წლის განმავლობაში ჩაატაროს 5-6 მშობელთა კრება. გარდა ამისა დამრიგებელი ვალდებულია ყოველ პარასკევს შეამოწმოს საკლასო ჟურნალები და მოსწავლეთა დღიურები და თუ რომელიმე ნიშანი არ არის გადატანილი დღიურში, მას თავად შეაქვს ნიშანი დღიურში, რომელსაც ხელს აწერს მშობელი, გაცნობის დამადასტურებლად. გარდა ამისა კომუნიკაცია ხშირია ტელეფონისა და სოციალური ქსელების სასუალებით.<br><br>სკოლაში შექმნილია მზრუნველთა საბჭო და სკოლას შემუშავებული აქვს მისი დებულება, რომლის მიხედვითაც მშობელს საშუალება ეძლევა სასკოლო ცხოვრებასი აქტიური მონაწილეობა მიიღოს. მშობლები ჩართული არიან სასკოლო საქმიანობებსა და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებში, რაც დაადასტურეს კიდეც ინტერვიუირებისას. |
| დადასტურება/ დანართი | სადამრიგებლო პროგრამებით<br>მოსწავლეთა დღიურებით<br>ინტერვიუებით |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ------------------------------------

| | |
|---|---|
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „ე“ პუნქტი |

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლოგეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი

| | |
|---|---|
| აღწერა | გიმნაზიას შემუშავებული აქვს ა(ა)იპ ცაგერის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიის სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები, რომლის მიხედვითაც გიმნაზიაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოიცავს უწყვეტ ციკლს, რომელიც გულისხმობს: დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას, რეკომენდაციების შემუშავებას, ინტერვენციას, ინტერვენციის შედეგებზე დაკვირვებას, შემდგომი საჭიროებების დადგენას და ასე შემდეგ, უწყვეტ, გაუმჯობესებისკენ მიმართულ პროცესს.<br><br>ამ მიზნით სკოლაში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის საბჭო, რომლის შემადგენლობაში არიან გიმნაზიის დირექტორი, დირექტორის მოადგილე და კათედრის ხელმძღვანელები.<br><br>ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, შეფასებას ექვემდებარება შემდეგი სფეროები:<br>ა) სადამრიგებლო პროგრამის ეფექტური მუშაობის შეფასება;<br>ბ) კათედრების მუშაობის შეფასება<br>გ) მასწავლებლების პორტფოლიოს წარმოების შეფასება<br>დ) სასწავლო პროცესში გამოყენებული თვალსაჩინოებები<br>ე) მოსწავლეთა შეფასება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებებით<br>ვ) საკლასო ჟურნალების წარმოების შეფასება<br>სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასება ხორციელდება შემდეგი წყაროებიდან მოპოვებული ანალიზის საფუძველზე |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ------------------------------------

| | |
|---|---|
| | ა) გიმნაზიის დოკუმენტაცია<br>ბ) გამოკითხვა მასწავლებლებთან, მოსწავლეებსა და მშობლებთან<br>გ) საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება<br>დ) სხვა სახის წყაროები, საკვლევი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე<br>ხარისხის უზრუნველყოფის საბჭოს სამუშაო გეგმის შესაბამისად განხორციელებული აქტივობები ჯამდება და მუშავდება რეკომენდაციები. შემაჯამებელი ანგარიში ასევე წარედგინება სასკოლო საზოგადოებას. მომდევნო სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება განხორციელდება მიღებულ რეკომენდაციებზე დაყრდნობით. |
| დადასტურება/ დანართი | გიმნაზიის სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმებით |
| შეფასება | **დაკმაყოფილებული** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლიმითს „ვ“ პუნქტი |

II. მატერიალურირესურსი

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ------------------------------

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:

| | |
|---|---|
| აღწერა | ა(ა)იპ ცაგერის წმინდა ილია მართლია სახელობის გიმნაზია სასწავლო პროცესის განსახორციელებლად იყენებს ქ. ცაგერში დ. აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე ორსართულიან (საკადასტრო კოდი 89.03.21.042) და ერთსართულიან (საკადასტრო კოდი 89.03.21.001) შენობებს.<br><br>საჯარო რეესტრის 18/12/2015წლის №882015713294 და 04/09/2015 წლის №882015493095 ამონაწერებით ჩანს, რომ დაზუსტებული ფართები: 897.00კვ.მ მასზე განთავსებული ერთსართულიანი შენობა(ფართით-324.7კვ.მ საკადასტრო კოდით 89.03.21.001) და 1400კვ.მ მასზე განთვსებული ორსართულიანი შენობა (ფართით 667.00კვ.მ საკადასტრო კოდი 89.03.21.042) ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაა. ცაგერის მუნიციპალიტეტმა უზუფრუქტის №7 და №1-1044 ხელშეკრულებებით(დამოწმების თარიღები 13/06/2015 და 25/07/207) არსებობის ვადით გადასცა სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართმადიდებელი ეკლესიის-ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიას. ეპარქიამ თხოვების №1 და № 3 ხელშეკრულებებით (დამოწმების თარიღები 14/12/2015 და 25/12/2009) უსასყიდლო უზუფრუქტის არსებობის ვადით გაანათხოვრა ა(ა)იპ ცაგერის წმინდა ილია მართლის სახელობის გინმაზიაზე.<br><br>საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ფართი ფაქრობრივად არსებულ ფართზე ნაკლებია. გიმნაზიამ ორსართულიან შენობას გაუკეთა მიშენება. დამზადებულია მიშენებული ფართის საკადასტრო და აზომვითი ნახაზები (საკადასტრო აღწერის თარიღი 12.12. 2015, |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ------------------------------------

| | |
|---|---|
| | ფართი 596.45კვ.მ) თუმცა ინფორმაცია საჯარო რეესტრში არ არის განახლებული. დაწესებულება ამ ფაქტს გაზვიადებულ ბიუროკრატიულ პროცესად მიიჩნევს და საკითხის დროულად გადაწყვეტისთვის შესაბამის სტრუქტურებს მიმართა.<br>გიმნაზიას აქვს საკმარისი ფართი (მიშენების გარეშ--991კვ.მ), მაგრამ თუ საფრთხე შეექმნება ამ ფართის არსებობას, სადაც განთავსებულია საკლასო ოთახები, სველი წერტილები და ბიბლიოთკა რა თქმა უნა ეს იმოქმედებს სასწავლო პროცესის უწყვეტობაზეც. |
| მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი | 89.03.21.001<br>89.03.21.042 |
| დადასტურება/დანართი | • ამონაწერებით საჯარო რეესტრიდან - საკადასტრო კოდი 89.03.21.042 ( 04/93/2015) და 89.03.21.001 (18/12/2015)<br>• თხოვების ხელშეკრულებით № 1 29/06/2015<br>• საკადასტრო გეგმით 26.11.09<br>• საკადასტრო აზომვითი ნახაზებით 12.12.15<br>• ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბრძანებით № 2-074<br>• წერილებით: ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და ცაგერის სარეგისტრაციო სამსახუს შორის (01.11.2015),ცაგერის მუნიციპალიტეტს საკრებულოსა და ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიის მთავარეპისკოპოს სტეფანეს შორის (23/12/2009)<br>• ვიზუალური დათვალიერებით |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია„** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ---------------------------------

| | |
|---|---|
| | და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტი. |

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

| | |
|---|---|
| აღწერა | დაწესებულების ორსართულია შენობაში (შემდგომში შენობა- №1) არის 13 საკლასო ოთახი, ფიზიკისა და ქიმია-ბიოლოგიის კაბინეტები, კომპიუტერული კლასი, ბიბლიოთეკა, დირექტორის, საქმეთამართველისა და სამედიცინო ოთახები, სამასწავლებლო, მინი სპორტული და საკონფერენციო დარბაზები, ბუფეტი. ერთსართულიან შენობაში (შემდგომში შენობა- №2) არის დიდი სპორტული დარბაზი და საკლასო ოთახი ,,საგზო ნიშნები და მოძრაობა უსაფრთხოების“ გაკვეთილებისთვის.<br><br>საკლასო ოთახები აღჭურილია ორადგილიანი მერხებით, სასკოლო დაფებით, მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, კარადებით, გამოკრულია სხვადასხვა მიზნობრივი თვალსაჩინოებები და მოსწავლეთა ნამუშევრები. დაწესებულების მფლობელობაში სულ 90 ორადგილიანი მერხია. სკოლის დირექტორის განმარტებით საკლასო ოთახებში განთავსებულია კლასში მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი მერხები და გამოიყენებენ როგორც ინდივიდუალურად, რაც დასტურდება საკლასო ოთახებისა და სასკოლო ჟურნალების დათვალეერებით. |
| დადასტურება/დ | • ვიზუალური დათვალიერებით |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ----------------------------------

| | |
|---|---|
| ანართი | • მიღება -ჩაბარების აქტით შპს ,,ორგსერვისი“07/09/09<br>• სასაქონლო ზედნადებებით<br>• ჩუქების ხელშეკრულებით<br>• საინვენტარი წიგნით |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტი. |

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი

| | |
|---|---|
| აღწერა | დაწესებულების ორივე შენობაში არის სპორტული დარბაზი. №1 შენიბის პირველ სართულზე განთავსებულია მინი სპორტული დარბაზი, სადაც დგას ტენისი მაგიდა. №2 შენობაში კი დიდი სპორტული დარბზი გასახდელებით, საშხაპეებითა და სველი წერტილებით. დარბაზში დამონტაჟებულია მოძრავი კალათბურთის ფარები, ფრენბუთის ბადე, ტრიბუნები და ერთ მხარეს სცენა, რაც შესაძლებელს ხდის დარბაზი გამოიყენონ სხვადასხვა ღონისძიებებისთვი. |
| დადასტურება/დ ანართი | • ვიზუალური დათვალიერება |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტი. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ------------------------------------

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები

| | |
|---|---|
| აღწერა | გიმნაზიაში არსებობს ფიზიკისა და ქიმია-ბიოლოგიის კაბინეტები. თითოეულ კაბინეტში დგას ორ-ორი სადემონსტრაციო მაგიდა. კარადაები, სადაც განთავსებულია შესაბამისი ლაბორატორიის აღჭურვილობა. დამონტაჟებულია სველი წერტილები. ქიმიური რეაქტივები განთვსებულია ცალკე ოთახში. დაწესებულებას შეძენილი აქვს ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია-ანატომიის 208 დასახელების ლაბორატორიის აღჭურვილობა. |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• შპს ,,ინსტა -ჯორჯიას“ ხელშეკრულებით<br>• ლაბორატორიის მიღება-ჩაბარების აქტებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტი. |

22 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

---



